23 APRILIE

RUGACIUNEA 5

SF.MARE MUCENIC

GHEORGHE DE LA CAPADOCIA

ჰოი, კეთილშუენიერებითა ცისკროვან-ბრწყინვალეო, მნათობო ყოვლისა სოფლისაო და ახოვანო მხედარო ქრისტეის ღმრთისაო, შემწეო მორწმუნეთაო და მწუხარეთა სიხარულო და მხიარულებაო, გამომხსნელო ტყუეთაო და მეოხო მვედრებელთა და მადიდებელთა შენთაო, ღუაწლისა-მძლეო, დიდო მოწამეო გიორგი!

ჰოი, ღმრთივგვირგვინოსანო, დიდო მოწამეო ქრისტეისო, წმიდაო გიორგი! მოგვიხსენე წინაშე ღმრთისა და ელვარებითა სიწმიდისა შენისაითა მოხედენ სამკვიდრებელსა ქართველთასა, და მკვიდრსა მას ზედა ერსა ჩუენსა, მართლმადიდებელსა, მძლავრებისაგან ბოროტისაითა მრავალგზის კუეთებულსა და შეჭირვებულსა და განამტკიცე იგი. დაამდაბლე ქუეშე ფერხთა ქრისტეანეთასა წინააღმდგომნი მტერნი, ხილულნი და უხილავნი, და ვითარ-იგი მიეც ღმრთისმო-ყუარესა მეფესა დავითს პირველ დიდგორსა შინა

ძლევაი საკვირველი, ეგრეთვე აწ უკანაისკნელსა ამას
და მზაკუვარსა ჟამსა ბოროტითა უძლურებითა
შეპყრობილთა ქართველთა კუალად მოგუმადლე
ძლევაი საკვირველი, რაითა ვიპყრათ, რომელი უკუე
გუაქუს, და არავინ მოგვიღოს გვირგვინი იგი წმიდისა
მოციქულისა იოვანეისა მიერ
წინაისწარმეტყუელებული და ჩუენთვის
აღთქუმული. განამლიერე მსახურებასა შინა
უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის
მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-
აფხაზეთის მიტროპოლიტი მამაი ჩუენი ილია,
ყოვლადსამღდელონი მიტროპოლიტნი,
მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი და ყოველნი
სამღდელონი და სამონოზნო წესნი,
მხედართმთავარნი და ქალაქმთავარნი,
მრავალშემძლებელითა ძალითა თქუენითა
განამლიერეთ ქრისტეისმოყუარე მხედრობანი, და
კეთილისმყოფელნი ჩუენნი, და ყოველნი
მართლმადიდებელნი ქრისტეანენი, მოსახელენი და
მვედრებელნი შენნი ადიდე. ევედრე,
ყოვლადბრწყინვალეო მარტვილო, შენგან
შეყუარებულსა ტკბილსა იესუს, რაითა შეგვინდოს
განდგომილებანი, ეკლესიათა ნგრევა-შეგინებანი,
ღმრთისმსახურთა მკვლელობანი, ღალატი, შური და

უწესობანი, საშოსა შინა ჩვილთა ჩუენთა კლვანი და სხვანიცა, შეცოდებათა ჩუენთა სიმრავლენი. ჰოი, ღმრთივშუენიერითა ღუაწლითა განათლებულო, პატიოსანო და ბრძენო მოწამეო, უძლურთა განმაძლიერებელო და მძლავრთა დამცემელო, წმიდაო გიორგი! ღმრთივდიდებულითა საკვირველებითა და ნიშებ-სასწაულითა შენითა განათავისუფლე ტყუენი, განჰკურნე უძლურნი, იხსენ განსაცდელსა შინა მყოფნი, განარინე ზღვასა შინა მავალნი, მოაქციენ ცოდვილნი და შეაწყნარეთ ქრისტესა ღმერთსა, ყოველთა შემწყნარებელსა. ყოველნი მარტვილთმოყუარენი და მადიდებელნი წმიდისა სახელისა შენისანი ადიდე და აღამაღლე სულითა და ხორცით, რაითა სასუფეველისა დიდებასა და დიდადშუენიერსა ბრწყინვალებასა ღმრთისასა ღირს ვიქმნნეთ ყოველნი, ანგელოზთა თანა უგალობდეთ, წმიდათა თანა ვადიდებდეთ და შენ თანა გვირგვინოსანნი ვაკურთხევდეთ შენსა გვირგვინოსანმყოფელსა მამასა, შენსა განმაძლიერებელსა ძესა და შენ შორის მეტყველსა სულსა წმიდასა, რომელსა შუენის ყოველი დიდებაი, პატივი და თაყუანისცემაი, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.